# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 03-05/24

05 აგვისტო 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების ( თავი II ა მუხლის 3ა პუნქტი) შესაბამისად, ერთი მხრივ, შპს „BMC GORGIA"-მ, წარმოდგენილმა მისი დირექტორის ხვიჩა ბაკურიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") (ქ. ბათუმი, ჩხაიძის ქ.#41) და მეორეს მხრივ, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლამ (ქობულეთი, სოფელი ხალა) წარმოდგენილმა მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლეილა ლორთქიფანიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს" ხარისხიანი სამშენებლო საქონელი. (CPV44191200-105.00ლ; CPV44111900-34,56ლ.), ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს -139.56- (ასოცდაცხრამეტი ლარი, ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს.

1.3 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები,

2.2. სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების დროს ხარისხის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ხარვეზის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს ხარისხის შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

## 3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 4. ანგარიშწორება

4.1. ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან სავალდებულო ანგარიშ–ფაქტურის წარდგენის შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

## 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახვევა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება , რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. ამ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელხკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ეძიებს გამოსავლის ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12.გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

## 14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალი შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიმე უფრო გვიან დგება.

## 15. გადასახადები და ბაჟები

15.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეჟარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, აქედან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

## 16 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 31 იანვრამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „მიმწოდებელი" | „შემსყიდველი" |
| --- | --- |
| შპს „BMC GORGIA" | სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალის საჯარო სკოლა; |
| ბათუმი, ჩხაიძის ქ.#1 | ქობულეთი, სოფელი ხალა |
| ს/ნ 245621288 | ს/ნ 246994409 |
| ანგ.№ GE07BG0000000891055100 | ანგ№GE55LB0121141815616000 |
| ს.ს. „საქართველოს ბანკი" | სს „ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: LBRTGE22 |
| დირექტორი | დირექტორის მ/შ |

ინფორმაცია

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

დანართი № 1

(ივსება მიმწოდებლის მიერ)

| № | საქონლის აღწერილობა | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BEREN L. BEIGE 40*40 კერამიკული ფილა | კვ.მ | 1,92 | 18 | 34,56 | ბათუმი, ჩხაიძის ქუჩა№ 1 | 2016 წ. 31 დეკემბრამდე |
| 2 | 003 VERTEKS ლამინირებული იატაკი 1220*200*8მმ | კვ.მ | 7 | 15 | 105 | ბათუმი, ჩხაიძის ქუჩა№ 1 | 2016 წ. 31 დეკემბრამდე |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | სულ | | | | 139,56 | | |

შპს „ბი ემ სი გორგია"

ხსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ [illegible] საჯარო სკოლა:

კორექტირების თარიღი: 06/08/2016 16:20:58

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0254076016 |
|---|---|---|

| 2 | 06/08/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 15:12:25 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ბი ემ სი გორგია | 245621288 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა | 246994409 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ბათუმი.ა.ჩხაიძის ქუჩა № 1 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | ქობულეთი, ხალა |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საავტომობილო | 10 | KIM372 | X |
|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტირების სახე | | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 61005000056 ედუარდ კონცელიძე |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BEREN L. BEIGE 40*40 | ab074014 | კვ.მ | 1.9200 | 18.0000 | 34.5600 |

| 13 | 34.56 - ოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | ვერძაძე ნინო |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | ლეილა ლორთქიფანიძე |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 07/08/2016 | 18:07:41 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/01/2017, 14:23:59

კორექტირების თარიღი: 06/08/2016 16:21:45

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0254076260 |
|---|---|---|

| 2 | 06/08/2016 | 3 | 15:14:14 |
|---|---|---|---|
| | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | | დრო (საათი, წუთი) |

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ბი ემ სი გორგია | 245621288 | 5 | სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა | 246994409 |
|---|---|---|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი | | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ბათუმი.ა.ჩხაიძის ქუჩა № 1 |
|---|---|
| | ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი) |
| 8 | ქობულეთი, ხალა |
| | ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი) |

| 9 | საავტომობილო | 10 | KIM372 | X |
|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტირების სახე | | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 61005000056 ედუარდ კონცელიძე | 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი - 0 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | თანხა ლარებში |

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 003 VERTEKS ლამინირებული იატაკი 1220*200*8მმ | ab077287 | კვ.მ | 7.0000 | 15.0000 | 105.0000 |

| 13 | 105 - ას ხუთი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|
| | მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად) |

| 14 | ვერძაძე ნინო | 15 | ლეილა ლორთქიფანიძე |
|---|---|---|---|
| | გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) | | მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) |
| 16 | | 17 | |
| | ხელმოწერა | | ხელმოწერა |

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 07/08/2016 | 18:07:43 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/01/2017, 14:24:07

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 2619

თარიღი: 2016 წლის 10 08, ოთხშაბათი

| | | | |
|---|---|---|---|
| გადამხდელის დასახელება: | სსიპ ს ხალას საჯარო სკოლა | | |
| | | ანგარიში (დებეტი): | GE55LB0121141815616000 |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" | ბანკის კოდი: | LBRTGE22 |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 246994409 | საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | |
| მიმღების დასახელება: | შპს ,,ბი ემ სი გორგია" | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 245621288 | ანგარიში (კრედიტი): | GE07BG0000000891055100 |
| მიმღების ბანკი: | სს "საქართველოს ბანკი" | ბანკის კოდი: | BAGAGE22 |
| გადახდის დანიშნულება: | კერამიკული ფილისა და ლამინირებული იატაკის ღირებულება | | |

ხელმოწერა: ______________________

______________________ ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

| GEL |
|---|
| GEL |
| 139.56 |
| თანხა სიტყვიერად |
| ას ოცდაცხრამეტი *GEL* და *56* |

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 10.08.2016

ხელმოწერა: ______________

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK
შესრულებულია ინტერნეტ ბანკის მეშვეობით